სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ მენეჯმენტის თავისებურებანი ინდუსტრიული მიმართულების მაგალითზე

თეონა ბაბუნაშვილი

მარიამ ობოლაშვილი

ასმათი ახალაია

ჯგუფი N 15

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის მაგისტრების აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი აბაშიშვილი, რეგისტრატორი, ასოცირებული პროფესორი.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020

განაცხადი

“როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“

თეონა ბაბუნაშვილი

მარიამ ობოლაშვილი

ასმათი ახალაია

02.07.2020

აბსტრაქტი

სამაგისტრო თემის კვლევის თემას წარმოადგენს სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ მენეჯმენტის თავისებურებანი ინდუსტრიული მიმართულების მაგალითზე“. აღნიშნულიდან გამომდინარე, კვლევის ობიექტად შერჩეულ იქნა საქართველოში მოქმედი სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოს“, მეწარმობის ხელშეწყობის პროგრამის ინდუსტრიული მიმართულება.

ნაშრომის სტრუქტურა დაყოფილია რამდენიმე თავად, რომლებიცაა: შესავალი, ლიტერატურის მიმოხილვა, მეთოდოლოგია და კვლევის დიზაინი, ძირითადი ნაწილი, კვლევის ანალიზი, დასკვნა, რეკომენდაციები, ბიბლიოგრაფია და დანართები. კვლევა ჩატარებულ იქნა თეორიულ და პრაქტიკულ მონაცემებზე დაყრდნობით.

სამაგისტრო ნაშრომის მიზანს წარმოადგენს, სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ ინდუსტრიული მიმართულებით ფინანსებზე ხელმისაწვდომობის კომპონენტის მენეჯმენტის თავისებურებების შესწავლა და შეფასება. როგორ აფასებენ პროგრაში ჩართული ბენეფიციარები მოქმედ პროგრამას, რამდენად ეფექტურად აფასებენ ისინი აღნიშნულ მოდელს. ასევე, პროგრამის განხორციელებაში ჩართული პარტნიორი კომერციული ბანკები, თავად აწარმოე საქართველოს მენეჯმენტი და ბიზნესის და ეკონომის ექსპერტები.

ნაშრომი საინტერესო იქნება სახელმწიფო პროგრამა აწარმოე საქართველოში განმახორციელებელი სააგენტოსთვის, ასევე, ყველა დაინტერესებული მხარისთვის, რათა უკეთ შეაფასონ აღნიშნული პროგრამის მენეჯმენტის ეფექტურობა. გაეცნონ და მიიღონ იმ კითხვებზე პასუხი, რომელიც უკავშირდება აღნიშნული პროგრამის განხორციელებას.

დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები და შემდგომი რეკომენდაციები დაეხმარება ზემოაღნიშნული პროგრამის განმახორციელებლებს მის

დახვეწაში და ასევე, სხვა დაინტერესებულ პირებს გაიგონ და უკეთ შეაფასონ აღნიშნული პროგრამის მენეჯმენტი.

Abstract

The research topic of the master's thesis is "Management peculiarities of the state program "Enterprise Georgia" based on the example of the industrial field". Therefore, the subject of the research is the Georgian state program "Enterprise Georgia", the industrial field of entrepreneurship furtherance project.

The structure of this work includes several chapters, such as: introduction, literature review, methodology and research design, the main part, research analysis, conclusion, recommendation, bibliography and annexes. The research was performed on the basis of theoretical and practical data.

The aim of the master's thesis is examination and evaluation of the management peculiarities of availability component of finances in the industrial field of the state program "Enterprise Georgia". How the beneficiaries engaged in the program assess the existing program, to what extent is the mentioned model effective for them, as well as, the partner commercial banks involved in the program execution, management of "Enterprise Georgia" and business management experts.

The thesis will be interesting for the executive agency of the state program "Enterprise Georgia", as well as, for all interested parties, for better assessment of management efficiency of the mentioned program; familiarize with and receive answers to the questions related to execution of the mentioned program.

We believe, the results of the research performed by us and further recommendations will support the executors of the above mentioned program to improve it and also, other interested persons to know more about the program and assess the management of the said program.

მადლობა

გვსურს, რომ გულითადი მადლობა გადავუხადოთ სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს, ბატონ გიორგი აბაშიშვილს, გაწეული შრომისთვის. ასევე, განსაკუთრებული მადლობა კვლევაში ჩართულ ყველა ადამიანს, მათი დროისა და ინფორმაციით გაზიარებისთვის, რადგან მათი ჩართულობა იყო მნიშვნელოვანი კომპონენტი ჩვენი სამაგისტრო ნაშრომის სრულყოფისთვის.